



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 23 მაისი 28 1895 წ. № 23



**შინაარსი:** დრამიდან „მედია“, სცენა აკაკისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—სტამბოლიდან, იმმასი.—საყურადღებო ამბები.—მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული გაკვრით პასუხი (დასასრული) ფ. მახარაძისა.—კრიტიკის კრიტიკა (დასასრული) ნ. ჟორდანიასი.—სვიმონ ხელი, ვ. ბარნოვისა.—კერძო განცხადება.




## დრამიდან „მედია“

### სცენა

კოლხიდის ქალები. შორით კავკასიის მთები მოსჩანან. იალბუზსა და მყინვარს ღრუბელი გადაჰყრია და ლაპლაპობენ

### გამოსვლა 1 ლი

იაზონ (ალტაცებით შეჰყურებს არე მარეს)

დღეს ჩემმა თანა-მოგზაურებმა
ფაზისის პირათ ძილს მისცეს
თავი,
რომ მოიხადონ დაღალულობა
და მერე ნახონ ეს სანახავი.
(ხელს აშვერს არემარეს)
მე კი ახლავე წამამიტყუა
უცხო ბუნების მშვენიერებამ!..

ამაფრთოვანა, ზეამიტაცა,
სრულათ გამმსჭვალა რა ნეტარებამ.
მშვენიერ ია დიდი ელლადა,
მაგრამ ეს მცირე ბარბაროსთ მხარე,
ისე ამეტებს მას შედარებით,
როგორც ვარსკვლავებს გავსილი მთვარე!
შევჩერებივარ ატეხილ-ჭალებს,
ბორცვს ყვავილებით შეფერადებულს,
გორებს, ქოჩორა ტყით დაბურვილებს
და მთებს, ზეცამდე თავ-ამაღლებულს.
საკვირველია! აქ ეს სიმდიდრე!..
ბუნების ლხინი.... მაყრულ-ქორწილი;
იქ კი ღრუბელი, თოვლი და ყინვა,
არარაობა და მკვდრული ძილი!
ამდენ სხვა-და-სხვა სანახაობას
ველარ უმართავს ხორციელი თვალს!
სჩანს, ამ ქვეყნისთვის რომ მოუცლია
შემოქმედების დიად ძალთა-ძალს! (დაფიქრდება)
გუშინ რომ რაღაც დიდი ფრინველი
გზაში მოგვდევდა... „არგო" დაჩრდილა,
აქ უნდა იყოს იმისი ბუდეც;
უეჭველია, რომ აქ გაზრდილა (მაღლა იხედება)
ეს კი ორბია! თვალს არ მაშორებს;
ხან ძირს ჩამოდის, ხან მაღლა ადის.
თავზე დაჯდომას ხომ არ მიპირებს?
სამეფო გვირგვინს ხომ არ მიქადის?
(მაღლიდან წამოვა ორბი ტრიალით და იაზონის ფეხთან დაეცემა; კერდში ერთათ ორი ისარი ურჭვია. იაზონ გაკვირვებული დაჩერებია).
ამას რას ვხედავ?! სწორეთ ღმერთებმა
მაღლით დაისრეს, ურჩათ რომ ფრენდა,
თვარა აქედან ვინმე სულდგმული
იქამდი ისარს ვით მიაწვედენდა?

## გამოსვლა 2 რე

(მედია და ძუძუდა გამოდიან ტყიდან. იაზონს რომ დაინახავს, მედია შეჩერდება, იაზონიც შეკრთება და ორივე ერთმანეთს შეჩერებიან გაქვავებულებსავით. ძუძუდა მივა, ორბს აიღებს, გამობრუნდება, მოავლებს ხელს მედიას, გაატრიალებს და შევლენ ტყეში).

იაზონ (გონზე მოდის)
მაღალო ზევსო! ნუ თუ დიანა
აქ სანადიროთ გადმოფრენილა?!
ელლინათ მიცნო და გაუკვირდა,
უცხო მხარეში მეც რომ მიხილა.
ან ის ვინ იყო, მას რომ თან ახლდა?
ის კი აქაურს გავდა მი ̆ის შვილს,
გამოსაზრდელათ ღვთისგან აყვანილს,
მონადირეთაც მისგანვე გაწრთვნილს!
აქ ვის რა ვკითხო? ვისგან გავიგო:
რაც ასე უცბათ ჩამეჭრა გულში?
წავალ, იქნება იქ ვნახო ვინმე,
კვამლი რომ მოსჩანს გამოქვაბულში.
(მიდის მარცხნივ და შედის გამოქვაბულში)

## გამოსვლა 3 მე

მედია და ძუძუდა გამოდიან ტყიდან

მედია (აშფოთებული)
არა!.. ის იყო!... ის იყო სწორეთ!...
ჩემი ჩვენება!... ჩემი სიზმარი!.,
მინდა რომ ერთხელ კიდევ შევხედო!...
საით წასულა?.. ვნახოთ სად არი!..
(ხელი-ხელ ჩაკიდებული გაირბენენ იქითკენ, სადაც იაზონი იდგა და შევლენ ტყეში).

## გამოსვლა 4 თხე

იაზონ (გამოდის გამოქვაბულიდან და თან გამოჰყავს დაჭერილი მჭედელი)

იაზონ მითხარ ვინა ხარ?
მჭედელი ვინ ვარ და ქლიბი.
შავ მთას ხომ ხედავ? იმის გადაღმა
დიდ ხეობაში ვცხოვრებთ დიდ თემად
და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა.
იაზონ რითი?
მჭედელი მჭედლობით. ჩვენ ერთი მთა გვაქვს.
ჭედისი არის მისი სახელი;
რკინის გული აქვს.. რკინის ძარღვები...
გარს ახვევია მთელი სოფელი,
ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი.
ხვრელები შეგვყავს, ვაცლით რკინის გულს,
გამოგვაქვს და მით, სხვა-და-სხვანაირს
ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რკინეულს.
იაზონ ეს რა მხარეა?
მჭედელი კოლხეთის მხარე,
დიდ იბერიის მცირე ნაწილი;
სიმდიდრით ყოვლათ მოუღალავი!..
მშვენიერებით გარს შემოსილი.
იაზონ ვინ ჰფლობს?
მჭედელი იათა მამასახლისი,
მისის სიმდიდრით ქვეყნათ განთქმული!
ვისაც სიუხვით და ვაჟკაცობით
მოგებული აქვს კოლხეთის გული.
იაზონ ახლა ეს მითხარ: აქ ხომ ღმერთები
არ ჩამოდიან, რომ ინადირონ?
მჭედელი (გაოცებით) განა ცოტა აქვთ მაღლა ადგილი,
რომ დაბლა თავი არ დაიმცირონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონ იმიტომ გკითხავ, რომ მონადირე
ღმერთ—ქალს მოვკარი მე დღეს აქ თვალი.
მჭედელი (იცინის) ის მედიაა, მამასახლისის
მზეთ უნახავი და პირ-მზე ქალი
იაზონ (განცვიფრებით) მედია?!.. ვისაც მშვენიერებათ
მთელი ქვეყანა დღეს აღიარებს..
რომელიც საქმროთ თუ არ უძლეველს
სიახლოვესაც არვის იკარებს?
მჭედელი ჰო! ჰო! სწორეთ ის. და შენც გეტყობა,
რომ სიჭიდაოთ გამოწყობილხარ,
მაგრამ შენც სხვების ბედი მოგელის,
თუ სხვა ვარსკვლავზე არა შობილხარ!
(სიჩუმის შემდეგ) სხვა ბედის რომ ხარ, ამას
მეც ვხედავ.
ტყვეობის მიტომ აღარ მრცხვენია..
თვარა სხვა ბევრი შენისთანები
უროთი დაბლა დამიწვენია.
და შენ კი იმდროს შემომეპარე
რო არ შემეძლო ამოღება ხმის,
მოსაგერებლათ ხელის ხმარება
და მით გატეხა მჭედლების აღთქმის:
დღეს არის სწორეთ ამირანის დღე
და ვამაგრებდი იმის ჯაჭვ-პალოს.
იაზონ ვინ ამირანი?.. რის პალო-ჯაჭვი?
ნუ გრეხ, ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს.
მჭედელი გეტყობა მეტათ შორეული ხარ,
რომ ამირანის არა იცი-რა!..
ვაჟკაცი იყო ის უძლეველი
ღმერთებთან თავი არ დაიმცირა!..
წინასწარ მჭვრეტი და შორს მხედველი
ჭინჭვლებს სამართალს დაბლა უჭრიდა
და მაღლა ღმერთებს ყოვლის შემძლებლებს
შეუპოვრობით თავს არ უხრიდა.
გარისხდენ ურჩზე, შური უძიეს
და ცხადათ მტრობა რო ვერ გაბედეს,
მხოლოთ ღალატით დაიმორჩილეს
და ბრუტ-საბძელას ზემიაჭედეს.
ვერვინ გაბედა მიკარებოდა,
ვერვინ შეახო ვაგლახათ ხელი,
რომ მიეჭედა, სანამ არ გაჩდა
ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი.
მიჩენილი ჰყავს შავი ყორანი
და არ ასვენებს უფრთხობს მწარე—ძილს:
ბრჭყალებით უპობს გულ-მკერდს დატანჯულს!.
ნისკარტით წიწკნის მხურვალე გულ-ღვიძლს!..
მაგრათ მიბმული და მიჯაჭვული
მოსაგერებლათ ვერ ხმარობს ხელებს,
მაგრამ თან ახლავს პატარა ფინა...
ის ულოკავს წყლულს და მით უმთელებს.
როდესაც ტკივილს ვეღარ აიტანს,
მაშინ ინძრევა რომ აიწყვიტოს
და კოჭლ მჭედელზე გარისხებულმა
რაც მჭედლები ვართ სულ ამოგვწყვიტოს.
მაგრამ დღეის-დღეს ჩვენ ყველა ერთათ
სამჯერ ზედი ზედ უზმოთ და უბრათ
კვერს ურტყავთ დგვემლზე, რომ შერყეული
პალო ჩაერჭოს ისევე მაგრათ
იაზონ საკვირველია!.. ახლა მითხარი
მედიაზედაც რამე ამბავი.
მჭედელი არა ვიცირა და რომც ვიცოდე
მაინც ვერ გეტყვი გინდ მომჭრა თავი;
თუ მართლა გინდა შეიტყო რამე,
ეგერ ხომ ხედავ ხეს ქვეშ დედაბერს?
ის მოიკიდე ჯერ დედობილათ
მაშინ გაიგებ მისგან ყოვლიფერს.
მიდი უკბინე მძინარს ძუძუზე
და მიაძახე: კმარა ძილითქო,
ნუ გატეხ ქვეყნის ძველ ჩვეულებას
შენ დედა იყავ და მე შვილითქო.
იაზონ (ხელს უშვებს მჭედელს, მიდის ძიძასთან და
ძუძუზე კბენს)
ძიძა (წამოვარდება დამფთხალი) ვინა ხარ და ან
რა სულიერი?
იაზონ უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი,
რომ ვიჭიდაო და მოვიპოვო,
ანუ მედია და ან სიკვდილი!..
ძიძა ტყუილა გარჯილხარ! ვერას გახდები!
მომსვლელი სხვებიც ბევრი მინახავს,
მაგრამ წამსვლელი კი აღარავინ:
აქვე სტოვებენ ჩვენ სარებზე თავს,
(თითს აშვერს) ამ მაღალ სერზე რომ გადიხედო,
ძირს გამოჩნდება ქალაქი „ია“,
სადაც თან სწორათ ზაფხულ და ზამთარ
გადაშლილია ვარდი და ია.
იქ დაინახავ ერთ დიდ სასახლეს,
ოქროს გალავნით გარშემოვლებულს
და მის უთვალავ მესერ—სარებზე
კაცის ხმელ თავებს მაგრათ ჩამოცმულს.
ისინი ყველა მედიას სურვილს
გადაჰყოლიან... უსინჯავთ ბედი.
შენც შვილო მათი დღე დაგადგება,
შენც მოგატყუებს გიჟი იმედი.
იაზონ არ მეშინია, ნუ შესწუხდები!
შენ მხოლოთ ახლა, მე ის მასწავლე,
თუ როგორი გაქვსთ წესი და რიგი,
რომ მოციქული მივგზავნო მალე.
ძიძა მაგისი შვილო არა ვიცირა.
ვერც დაგპირდები, იცოდე, შველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასირ ნახე ბატონიშვილი
და ის გიანბობს, რაც გინდა ყველას.
აქვე იქნება მაჴლობლათ სადმე.
უყვარს ჭალაში ბურთის გაგდება..,
წაიყვანს ხოლმე ტოლ-ამხანაგებს...
მის შიშით ერთიც ვერ დააკლდება.
მიდი, როგორმე დაუძმობილდი:
თავს შემოევლე, აკოცე მხარზე
და ის გაგიწევს შენ მეგობრობას,
თვითონ მიგიყვანს სასახლის კარზე.
(ტყიდან ხმა მოისმის)

ხმა ერთი მხრით. უუუ! სად ხარ ძიძავ?

ხმა მეორე მხრით. უუუ! სად ხარ დედავ?

ძიძა. ჩუ! მეძახიან! (მაღლა აიხედავს) ამოსულა მზე.
(იაზონს) შენ შვილო ბევრს კი ნუ აგვიანებ!
ახლავე წადი საბურთაოზე! (ძიძა შედის ტყეში)

იაზონ (მარტო ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ)
რაები მესმის?!. საკვირველებით
სავსე ყოფილა აქაურობა!.
გმადლობ ჰელიოს, რომ შენ მირჩიე
ხანგრძლივი... შორი მოგზაურობა.

(ფარდა დაეშვება)

აკაკი

## სხვა-და-სხვა ამბები

ორშაბათს, 22 მაისს, სახალხო წარმოდგენა იყო გამართული ავჭალის აგრეთ წოდებულ „სასადილო დარბაზში"; შესასვლელი ფასი შაური იყო. მდაბიო ხალხი ორას სულზე მეტი დაესწრო. ბევრს მათგანს ამის მეტათ თეატრი არ ენახა. ეს მესამეთ იყო გამართული წარმოდგენა: ერთხელ დადგეს „და-ძმა", მეორეთ—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და ახლა „არსენა". ალ. ყაზიბეგისა. მოთამაშენი უმეტესი ნაწილი ხელოსნები იყვნენ. ესენი აპირებენ გამუდმებით წარმოდგენების გამართვას. თეატრს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და სარგებლობის მოტანა შეუძლია მეტადრე მდაბიო ხალხისათვის— ამაზე ბევრი ლაპარაკი მეტია: მხოლოთ ვისურვებთ, რომ ჩვენი უხალისო და გულგრილი ინტელიგენცია შორიდან ცქერის მაგივრათ შეელოდეს და უადვილებდეს ჯაფას იმათ, ვინც შრომობს ამ საქმისათვის. კარგი იქნება, რომ ბუნდოვანი სურათებით საკვირაო კითხვებიც გამართონ, როგორც სხვები კიდეც მართავენ ამ დარბაზში.

*
* *

ახლანდელ მამასახლისებზე ჩივილი უბოლოვო გახდა. სოფლელები, თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს: ჩვენი მამასახლისი უფრო მცარცველ-მგლეჯელია, ვიდრე თქვენიო. ახლაც ჩამოსულან სოფ. დოესიდან დიდ ძალი გლეხები, რომელნიც უჩივიან თავიანთ აგრეთ წოდებულ განათლებულ მამასახლისს ჯ. შვილს. სამწუხარო ის არის, რომ ყოველი პირველი კლასიდან გამოგდებული მოწაფე, რომელიც ერთი-ორი წელიწადი დაჰყოფს სოფლის მწერლათ, გაიწვრთნება ხრიკების გამოგონებაში ‑ მერე მას უმეტესი ნაწილი ჩვენთაგანი განათლებულათ ნითვლის.

*
* *

სათავად-აზნაურო შკოლის გამგე კომიტეტის წლიური კრების გაგრძელება სრულიათ მოანდომეს კომისიების სხვა-და-სხვა მოხსენების კითხვებს; ხან დანიშნულ რევიზიის შესახებ გვიკითხავდენ, ხან შკოლის ტიპის გამოსარკვევათ დანიშნულ კომისიის აზრებს, და როცა უნდა შევდგომოდით საყურადღებო სჯა-ბაასს შკოლის ტიპის შეცვლის შესახებ, კრება მოიქანცა და იგრძნო, რომ ამისთანა მძიმე საქმეს ვერ გაუძლევბოდა და ერთი წლით გადადო ამ საგანზე მოლაპარაკება.

ამავე დაქანცულობის მიზეზი უნდა იყოს, რომ გამგეობის წევრის ამორჩევის დროს ამომრჩევლებმა კენჭი აღარ ჩააგდეს და გამოვიდენ კარში, როდესაც „ახალ თაობის წარმომადგენელი", როგორც თვითონ გვარწმუნებს, ბატონი ქურული უნდა ამოერჩიათ. ამომრჩევლები ორასზე მეტი იყო და კენჭი ამოვიდა კი სულ 65, და ამ გვარათ თითქმის ერთ ხმათ ამორჩეულ იქმნა ბატონი დ. ი. მუსხელოვის მოპირდაპირე, გიორგი ქურული. აბა, გამარჯვებაც ამისთანა უნდა!

## სტამბოლიდან.

შემდეგი *)

მთელს დედამიწის ზურგზე, საცა მცირეთ თუ ბევრათ აღებმიცემობა წარმოებს ყოველგან შეგიძლიათ ნახოთ „სომხობა“ და თითქმის ყველა მათგანი განათლებული და მდიდარია. ყველაზე უფრო იმათ ის აგულდიდებთ, რომ მათი სასულიერო წოდება უმაღლეს წერტილამდის არის მიღწევნილი. ყველა ერთიანათ გრიგორიანია, თუ კათოლიკე ნამდვილი პატრიოტები და დაუღალავი, უსასყიდლო მშრომლები არიან გვარისათვის. თითქმის ყველგან ეს პატიოსანი მოღვაწენი უშიშრათ, და თავდადებით ებრძვიან ძალ-მომრეობას, უქადაგებენ, ასწავლიან და აგულიანებენ ხალხს. სად არ მოქმედებენ ესენი? თითქმის ყველგან საცა მცირეოდენი სომხების გროვა მოიპოვება: რუმინიაში, სერბიაში, ბოლგარიაში, მაკედონიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში, ამერიკაში და სხვა. ყველგან აქვთ შკოლები, ეკლესიები, ადგენენ თეატრს, საზოგადოებას, მართვენ მიტინგებს, ხატვენ სხვა-და-სხვა თავიანთი ცხოვრებიდან აღებულს ცოცხალ სურათებს, აღელვებენ მთელ ევროპას და ცდილობენ, როგორმე დააღწიონ თავი მონობას, მხოლოთ სამწუხაროთ, ნამდვილის მოქმედების ასპარეზზე სასომხეთოში კი მარტო მუშა და საწყალი ხალხი მოქმედებს *), ინტელიგენცია კი უფრო განცხრომაში არის. რა უნდა ქნას მარტო მდაბიო ხალხმა, რომელსაც ლუკმის მოპოებაც უჭირს. მხოლოთ ეს კი ღირს — საყურადღებოთ, რომ ის ხალხი, საცა თავისუფლების სურვილი და შეგნება მდაბიო ხალხშიაც ჩავარდნილა აღარ დაიკარგვის. იმ გვარს შეუძლია თავმომწონეთ თქვას „მომავალი ჩვენიაო“. ვინც გაზეთ ჟურნალებს თვალ-ყურს ადევნებს, იმას უეჭველათ თვალები გაფაციცებული ექნება იმის ძებნაში—ეგებ სომხებისა და მათი გარემოების შესახებ რამე ამოვიკითხოვო. ყველას, ვისაც კაცობრიობის ცეცხლი უღვივის გულში, ესიამოვნება, რომ დაჩაგრულმა და დამონებულმა ხალხმა თავს უშველოს, თუ ეს თავის შველა სამართლიანი და პატიოსანია. ამ მცირე ხნის წინეთ თითქმის ყოველ-გვარი გაზეთები სავსე იყო სომხების ამბით, ევროპაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო, თითქმის ყველანი გაიძახოდენ სომხები გათავისუფლდებიანო. დღესაც თუ შეგვიძლია მართალი ვთქვათ, სომხობა კარგათ მომწიფებულია და ღირსნიც არიან თავისუფლებისა და ეს არც უდროვო იქნება, მაგრამ მაინც აგერ თვეები გარბის, რაც მაგათი საქმის გამოსაძიებლათ დაინიშნა „კომისია“ შემდგარი ინგლის, რუსის და ფრანციის კონსულებიდან და ჯერ კიდევ არა გამოსულა-რა. როგორც სხვა-და-სხვა გაზეთები იუწყებიან, ვერც სიმართლე და ვერც სიმტყუნე, რომელიმე მხარესი ვერ დაუმტკიცებიათ, ამ გარემოებამ ნელ-ნელა ჩააყუჩა სომხების მოძრაობა და ხშირათ გეტყვიან ხოლმე აქაური სომხები: ვგონებ, აღარა იქნეს რაო. თუმცა მართალია, დღეს ეს საქმე საერთა შორისო (международный) კითხვათ გადიქცა, მაგრამ ჩვენის აზრით მაინც არა იქნება-რა ჯერჯერობით, რადგან ლორდი კიმბერლეის აზრით ეს საქმე გაამწვავებს და აღძრავს ხელახლა უკვე ჩაყუჩებულის აღმოსავლეთის კითხვას და ეს გარემოება კი დღეს უდროვოა და არც ცალია დღეს ამისთვის, არც რუსეთს და არც სხვა ევროპის სახელმწიფოებს.

როგორც ვიცით, დღევანდელი სტამბოლის მთავრობა — ოსმალეთი — ჰგიებს მეცამეტე საუკუნიდან. ესენი, მონგოლებისაგან იძულებულნი, გადმოვიდენ ამუდარიის ნაპირიდან, ოთხასი მოსახლე კაცი — სულეიმან ბეგის თაოსნობით და შემოვიდენ სასომხეთოში „ეზირგანს“. ამ დროს მცირე აზია სელჩუკელ თათრებს ეჭირათ. 1512—1513 წ. ოსმალეთის სულთანს — სელიმს, სპარსეთის შახმა ისმაილმა ომი გამოუცხადა, სულთან სელიმმა ურუმელიდან (ოსმალეთის ევროპის ნაწილია) ჯარი გადიყვანა მცირე აზიაში, ამ ომში შახი ისმაილ დაძლეულ იქნა. სულთან სელიმმა დაიჭირა მცირე აზიის რამოდენიმე ადგილები, რომლის რიცხვშიაც მოჰყვა ერთი ნაწილი სასომხეთოსიც. თვით სტამბოლის ამღებმა სულთან მახმედ II შეიყვანა თავისი ჯარი სასომხეთოში, მხოლოთ სომხებს არც მაშინ ჰქონიათ დამოუკიდებელი ცხოვრება: იგინი იყვნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი. როგორც ზემოთ ვთქვით, სულთან სელიმმა წაართვა სპარსეთს რამოდენიმე ნაწილი სასომხეთოსი და მისმა შვილმა „კანონი“ სულთან სულეიმანმა სრულებით გამოგლიჯა სასომხეთო სპარსებს და თავის სახელმწიფოს შეუერთა. ასე თუ ისე, ოსმალეთის მთავრობას სომხების თავისუფლება არ მოუსპია. მე თუ

---

*) სომხების მდაბიო ხალხი ძლიერ კარგად მოქმედებს აქ, უკანასკნელს მეკურტნე მუშებს აქ ძმობა—ამხანაგობის საზოგადოება აქვთ. სხვა-და-სხვა ადგილებში ყავახანები აქვთ გაღებული და რაც შემოსავალი იქნება, აგზავნიან სასომხეთოში შკოლებისა და ღარიბთა სასარგებლოთ. ამ გზით სომხები ბედნიერები არიან უბრალო მუშებიც კი ასე არიან გამსჭვალულნი მამულიშვილური გრძნობით.

*) იხ. „კვალი“ № 22.

ჩემი—წარსული წლის წერილში, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ „ოსმალების აზრი სომხებზედ“. მქონდა ნათქვამი, რომ „თათრები ამბობენ, ჩვენ არც-რამ წაგვირთმევია და ვერც რას მივცემთო და მათს ნიადაგსაც არ ვიცნობთო“. ეს აზრი იყო დამყარებული ამ ზემოხსენებულ მოსაზრებაზე, აქ ცხადათ ჩანს, რომ თურქების ეზირგანში გადმოსვლის დროს, სასომხეთოს ფლობდენ სელჩუკელები და სპარსები და ამათ კი თურქებმა—ოსმალებმა წაართვეს, ამისთვის ამბობენ დღევანდელი თურქები: „ვინც წაართვა მათ თავისუფლება იმათ მოთხოვონ. ბატონმა „ნორდარის“ რედაქტორმა კი ჩვენ ეს უვიცობათ ჩამოგვართვა. მე ჩემი საკუთარი აზრი არ გამომითქვამს და არც ისტორიკოსობას ვჩემულობ, მე მინდოდა ის აზრი მეთქვა, რა აზრიც ოსმალეთში ტრიალებს დღეს სომხების შესახებ. ჩემი საკუთარი აზრის ჩართვა მე სრულებით საჭიროთ არ დამინახავს. მე ამით იმის თქმა კი არ მინდოდა, თუ სომხებს თავისუფლება არასოდეს არ ჰქონიდეს; სომხები, რომ ძველი გვარია და ძველი სამეფოც ყოფილა ამას რაღა თქმა უნდა; მხოლოთ ოსმალებს, რომ მათთვის თავისუფლება არ წაურთმევიათ, არამედ ბევრი რამ შეღავათიც მიუციათ სპარსელების შედარებით, ესეც ცხადია. დღევანდელი ოსმალეთის მთავრობის დაარსებამდინ, ესე იგი სულეიმან ბეგის ეზირგანში გადმოსვლამდინაც, როგორც ისტორია ამტკიცებს, მცირე აზია ჭერიათ სელჩუკელ თათრებს და სტამბოლის აღების შემდეგ კი დაუჭერიათ თურქებს (ოსმალებს); ამით ის მტკიცდება, რომ სომხების თავისუფლება თურქებს(—ოსმალებს) კი არა სპარსეთსა და სელჩუკელ თათრებს მოუსპიათ.

იმმა.

---

## საყურადღებო ამბები

ბათუმი: ბათუმის მახლობლათ სამხრეთის მხრით წამოჭიმულია ერთი მომაღლო გორა. ამ გორაზე და მის გარშემო ჩაის მცენარეს აშენებენ. ჩვენ იმედიანათ შევცქეროდით ამ საქმეს, თუმცა ძნელი მოსალოდნელია, რომ აქედან ჩვენი კაცისათვის სასარგებლო რამ გამოდნეს. ეს მომავალი იმედიც გაგვიქარწყლა აქ ამ ბაღში, ძირ-გადგმულმა უწესოებამ. გარდა იმისა, რომ ამ ბაღში საწყალ მუშა ხალხს სამუშაო ქირას თავის დროზე არ აძლევენ—ცარცვენ და გლეჯენ და როცა იქნება, აგერ გვიან ცოტა რამეს გადმოუგდებენ. 29-ს აპრილს აქ მყოფი მუშა 15 წლის ბავში შერმანდილა დოლიძე, ერთი ვიღაც მაწანწალა უბრალო მუშის დასმენით „გაროზგა“ ამ ბაღის გამგემ, გერმანე ვონდერმა—ვიღაც უცხოელმა. დამსმენი მუშა უალაგოთ დაწანწალებდა; ამ ბავშს, რომელსაც 15 მანეთს ჯამაგირს აძლევდენ თვეში—ცილი შეწამა: უნაგირს იპარავდა და დავატოვებიეო. უცხოელმა გ. ვონდერმა გამხეცებულმა გაუკითხავათ დააჭერინა ბავში და გააშოლტინა წყავის წკეპლებით. იმ ბედკრულს, ჯერ ამდგარს ცემეს თავ-პირ კისერ-ზურგზე, მერე დასაკლავ ძროხასავით კისერი მოუგრიხეს, პირჩაღმა მიწაზე დადვეს და უწყალოთ ცემეს სხეულის უკანა გვერდზე. საწყალ მუშა ბიჭს როცა ცემდენ, უცხოელი ვონდერი იძახოდა: „პოკრეპჩე! პოკრეპჩეო“. საცოდავი ბავში ვიღასიც სწავლებით მიეშურა ადმინისტრაციას, რომელმაც შემდგარი საქმე სამსაჯულოს გადაცა. მსაჯულმა სიმძიმის მიხედვით გადაცა ქ. ბათუმის გამომძიებელს. საქმე წარმოებს და რა გამოვა ჯერ არ ვიცით. როგორც ამბობენ ეს უსამართლოთ შეურაცხყოფილი მეტი პატიოსანი ყმაწვილი ყოფილა, რაც შეეფერება მის წლოვანებას, და პატიოსანი დედ-მამის და ოჯახის აღზრდილიც. დიდად გვაწუხებს ეს საძაგელი შემთხვევა და გული ჯერაც ვერ დაგვიშოშმინებია. დამნაშავე ვონდერი აინუნშიაც არ იგდებს ამ თავის სივერაგეს და პირ აქეთ გვექადება დასჯას!..

დიდათ საწყენი და სწორედ განსაცვიფრებელია ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის ასეთი უგვანობა. ნუ თუ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ვითომ და რიგიანის მეურნეობის მესვეურებათ ჩამოჩხირებულან, ამ ნაირი მაგალითებით სურთ ახალი რამის შემოტანა! დიახ, სწორეთ ახალია ჩვენთვის ასეთი რამ, მაგრამ მისი სიავ-კარგის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია. ჩვენ მხოლოთ ამას კი დავძენთ, რომ ესეთი უალაგო და შემაძრწუნებელი საშუალება, სწორეთ მდაბალი, ქვენა აზრებით შეპყრობილი ადამიანის თვისება უნდა იყოს. იმედია საქმის გარჩევა და განაჩენი ღირსეული სასჯელის დადებით ცოტათ მაინც ანუგეშებს უსამართლოთ შეურაცხყოფილ ბავშის თავმოყვარეობას და საბოლოოთ ალაგმავს სივერაგით შეპყრობილ იმ ადამიანის მანკიერ მოქმედებას.

***

ს ო ფ. ჯ უ რ უ ყ ვ ე თ ი, (ოზურგეთის მაზრა). საზოგადოთ გურიაში თან-და-თან კლებულობს ცრუ

მორწმუნოება. აქ არიან იმისთანა სოფლებიც, სადაც სრულიათ არა სწამთ მარჩიელები ყოველი ამნაირი უვიცობის შემცირების მიზეზი არის ის, რომ თან-და-თან ვრცელდება აქეთ წიგნების კითხვის სურვილი და ახალგაზდობამ კითხვით ბევრი რამ შეიგნო. ს. ჯურუყვეთი კი ამაში სხვა მახლობელ სოფლებს ჩამორჩენია და ცრუ მორწმუნეობაც სხვა სოფლებზე აქ უფრო ძლიერია, რის გამო ძალიან ხშირათ უსიამოვნო მოვლენა იჩენს ხოლმე თავს. აქ დიდი ხნიდან დათარეშობენ ქუთაისელი ურიები. მოაქვთ უვარგისი და დამპალი საქონელი, დაატარებენ სოფლად ცხენებით ანუ ზურგით და ჰყიდიან, როგორც უნდათ ისე. ესენი, როგორც საზოგადოთ ყველა ურიები, ვაჭრობაში კარგად გაქნილი არიან, და ძლიერ ჰყვლეფენ აქაურს ღარიბს ხალხს. ერთს იმათგანს ამნაირათ სოფლის გაყვლეფა არ უკმარებია: ჩამოუყვანია აქ თავისი ცოლი, რომელსაც მარჩიელობა დაუჩემებია და ერთ კვირის განმავლობაში ფულიც დიდ ძალი მოუკრევებია თავისი მარჩიელობით. ამ ურიის ქალმა აქ ჩქარა გაიგდო ხმა „ნამეტანი მარჩიელისა“, რადგანაც, სხვათა შორის, ისარგებლა თავისი ქმრის მცხოვრებლებთან კარგად გაცნობით. ქმარმა დაწვრილებით იცოდა მათი გარემოება და თავგადასავალი, ყოველთვის თან ახლდა თავის ცოლს და დაინახავდა თუ არა ვინმეს სარჩევათ მიმავალს დაჩქარებით გარდაცემდა ცოლს რამოდენიმე სიტყვას მომავალი პირის შესახებ, და ეს რამოდენიმე სიტყვები საკმაო იყო თავგასულ მატყუარა მარჩიელისთვის, რომ მას ამით „ნამეტანი მარჩიელის“ სახელი გაეგდო სოფელში. მარჩიელი აბაზ ნაკლებ არავის არ ურჩევდა და ზოგს კი სამ მანეთამდის გადაახდევინებდა. მაგრამ ამნაირათ ფულების აღებას კიდევ ვინ ჩივის. მისს მარჩიელობას, როგორც საზოგადოთ ყოველთვის, ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვა. ზოგს ეუბნებოდა: „შენს ოჯახში გყავს ერთი მოხუცებული (სიდედრი ანუ სიმამრი), რომელსაც შეუჭამიხარ“ ო. ანუ სახლის მახლობლათ გიდგას ერთი ქალი და იმას მოუნელებიხარ, ის არის მიზეზი შენ რომ ავათ ხარ“ო და სხვა ამისთანაებს. მარჩიელის ამნაირ ბოროტ-მოქმედებას რასაკვირველია, მოჰყვა ბევრი უსიამოვნება: გაჩნდა მეზობლებში და ოჯახებში ჩხუბი, გინება-ლანძღვა და გლეჯა-წეწა და ვინ იცის კიდევ რა ბოლო ექნება ამისთანა შულლიანობას და არევ-დარევას!.. ამისთანა შემთხვევაში ჩვენის ფიქრით მთავრობა უნდა ჩაერიოს და მან უნდა აღაგმოს ასეთი ბოროტ-მოქმედება. მაგალითათ აქაური მამასახლისი, რომ ვარგებულიყო, ეს ამბავი არ მოხდებოდა მის საზოგადოებაში; ამას შეეძლო ურიის დედაკაცი, როგორც უბილეთო, სოფლად არ დაეყენებია

იმედია უ. ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ. ალშიბაია, როგორც ამისთანაებში თავგამოდებული ადამიანი, ზემოთ მოყვანილი ბოროტ-მოქმედების შესახებაც დაარიგებს სოფლის მამასახლისებს და შეებრძოლება ამ უზნეობის მომფენ მარჩიელების მავნე მოქმედებას.

იოსებ გორდელაძე.

---

## მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული.

ეს მეფე იყო ალექსანდრე მეფის ძე, და მამის შემდეგ სამეფო ტახტი თუმცა მის უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდგან ხედვიდა თავის ძმას სოლომონს, რომ იგი იყო უფრო სამეფო კაცი, როგორც თვალ-ტანადობით, ეგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, ამის გამო მას დაუთმო და თვითონ კი შედგა ბერად.—

სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა სულ თვრამეტი წლისა იყო. ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო შამოსული იმერეთში და ციხე სიმაგრეებიც იმათ ეჭირათ: პირველი ფაშა მამედ-ალ კიკიენი ქუთაისის ციხეში იდგა დიდ ძალის ჯარით და მბრძანებელიც იყო დანარჩენი ფაშების. მეორე ფაშა უსეინ იდგა ბაღდათის ციხეში. მესამე ფაშა ახმედი შორაპნის ციხეში. მეოთხე ფაშა ალიბეგი იდგა ხრესილზე. თუმცა ამათ გამგეობაში არ იყო ჩვენი სამეფო, მაგრამ ბეგარას კი ახდევინებდენ იმერეთის მეფეს რამდენიმე ათას ყუროუშს. ამ დროს ცხოვრებდენ იმერეთის სამეფოში ორი თავადი: ერთი რაჭაში, რომელსაც უწოდებდენ დიდ როსტომ ერისთავად და მეორე არგვეთში თვით მეფის დედის ძმა ლევან აბაშიძე. ამათ შემოიყვანეს თათრები ალექსანდრეს მეფობის დროს, გაუღეს ციხის კარები, დააბინავეს, დაასუსტეს ალექსანდრე მეფის ძლიერება და თვითონ მათის შემწეობით გავლენა მოიხვეჭეს. ახლაც სოლომონის გამეფების შემდეგ დაუახლოვდენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრების მირთმევით

და ურჩევდენ, რომ ბაგრატიონის გვარი სრულიად მოესპო და მათთვის მიეცა მეფობა. ასე რომ ორ სამეფოდ გაეყო იმერეთი. ნახევარი ერთისათვის მიეცა და ნახევარი მეორესთვის. სამაგიეროთ პირდებოდენ იმერეთში მაჰმადიანობის შემოღებას. უნდა აეშენებიათ მეჩითები ქუთაის, ბაღდათს, შორაპანს, ხრესილზე, საჩინოს, ორპირს, კულაშს, ხონს, რაჭას ნიკოლოზ-წმინდის ტაძრის გვერდით ონში და აგბრალეურში. კიკიანი ფაშა მოხარული იყო, მაგრამ თავის თავად ცოტა ჯარით შებმას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით მეფე სოლომონს, ისე მის ძმას არჩილს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლადაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა, როგორც ზაფხულში მოწმენდილ ჰაერში მზის თვალის გამართვა, შეუძლებელი იყო. მის ძმა არჩილზე კი ამას ამბობდენ: მისმა მადლმა, წმინდა გიორგი სასწაულს გარდა სიმარჯვით ვერ აჯობებსო. ეს არჩილი იყო ძლიერ ახოვანი, ხმელი, მაგრამ ძვლები ჰქონდა სხვილი და მოგრძო. ამისი ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო, ცოლად ყავდა ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის ქალი. აი მიზეზი თუ რატომ ვერ ბედავდა კიკიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფესთან ბრძოლას თავის თავად სანამ ხვანთქარს არ აცნობა ყველაფერი და არ თხოვა ჯარების დასქელება. ხონთქარმა აუთქვა და ამის შემდეგ კიდევ უფრო გათამამდენ, როგორც ფაშები ისე მათი ჯარის კაცებიც და ალარაფრად აგდებდენ მეფეს. ერთ აღდგომა დილას თათრის ჯარის კაცი შევიდა მეფის სამზარეულოში, მეფისთვის მომზადებულ სასაუზმო ცხვარს ააგლიჯა ბეჭი, იქვე შეჭამა და წავიდა უშიშრად. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება დააწყებინა და აცნობა სახლხუცესს პაპუნა წერეთელს ეს გარემოება. წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იქმოდა. მოხსენება ვერ გაუბედა მეფეს. მხოლოდ კათალიკოსი და დიდებული კარის კაცები მეფესთან მისალოცავად მიმავალნი შეაჩერა, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოესწროთ სხვა ცხვრის გაკეთება. მეფეს რომ საუზმე დაუგვიანდა ვეზირს ფამაზა მესხს უბრძანა: სად არიან ჩემი დარბაისლები, რომ ველარა ვხედავ, ან კათალიკოსი რატომ არ მობრძანდა, რომ სუფრა მიკურთხოს და ან პაპუნა წერეთელი საუზმეს რათ მიგვიანებს, რომ გავიხსნილოთო. თამაზამ გამოტეხით მოახსენა ყველაფერი. მეფე ისარ ნაკრავივით წამოვარდა ზეზე და დაიძახა: ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო. ნუღარც გამთენებია აღდგომა თუ ისინი იმერეთიდან არ გავრეკეო. მოითხოვა ცხენი შეჯდა და ვარციხისაკენ გაეშურა, მე აქ ქუთაისში დასადგომი პირი აღარ მაქვსო. დიდებულები ზოგი თან წაყვენ და ზოგი გზაში დაეწიენ. მისვლის უმალვე სარდლები დაიბარა: ციხის თავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი კი პაპუნა წერეთელი თანვე ახლდა. ამ პაპუნას სამი ხელის უფლობა ეჭირა, ესე იგი იყო სახლხუცესი, უფროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

სარდლები აღდგომის მეორე დღესვე გამოცხადდენ. მეფემ უბრძანა ციხისთავს სარდალ აგიაშვილს ბაღდათის ციხეზე მიდგომა. თავის ძმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს შორაპნის ციხეზე ბრძოლა. ბერ წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ხრესილზე ომი და თვითონაც იქ ყოფნა აირჩია, რადგანაც თათრის ჯარი იქ მომეტებული იყო და გაშლილი ალაგიც იყო. ქუთაისის ციხის აღება კი უბრძანა ფიცის კაცს და გაუგზავნა შემდეგი ბრძანება: „თავადს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ. ამასთანავე გიბრძანებ, რომ მიღებასათანავე ამა ბრძანებითის წერილისა შეკრიბო ფიცის კაცნი თავადნი და აზნაურები, თავიანთის ყმებით და ისინიც, რომელნიც ჩემი სახასო ყმები არიან და ანუ ეკლესიისა. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს თავად აზნაურობისაგან სუყველა და გლეხებისაგან მხოლოდ თვითო გამოიწვიე. შემოჰკარი ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ; ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს ის დაკრძალეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ. მეფე იმერთა სოლომონ“. ამ გვარივე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს.

„თავად ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანებ ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად აზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრებნი ვიდრე გურიის საზღვრამდე; ვაკიდან: ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი, მაედანი, ჯიხაიში ორივე სოფლები, გუბი და ეწერი კომლზე თვითო გლეხი გაიყვანე. თავად აზნაურს, რომელსაც იარაღის ხმარება შეეძლოს რამდენიც იყოს ოჯახში ნუ დატოვებ და შეკარი ფოთის გზა. სადაც გურიისა და ფოთის გზა შეერთდება იქ, ესე იგი ეკალ მუხურშიდ დაბინავდით. ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქეთ მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გასწყვიტეთ. მეფე იმერეთისა სოლომონ“. ამ ბრძანების მიღებისათანავე ზურაბ მიქელაძე მივიდა ორპირის ქალაქს და გაგზავნა კაცები ჯარების გამოსაწვევად. ამ დროს მოვიდენ ახალგაზდა მიქელაძეები, რომელნიც ქალადიდს მაყრებად ყოფილიყვენ ქორწილში და გზაში შეყ-

როდენ თათრებს, იმერეთიდან ტყვეები რომ მიყავდათ სათათრეთში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ მეფის ხათრით. ახლა კი, როდესაც გაიგეს მეფის ბრძანება, გამოუდგენ, მოეწიენ ფოთთან, თათრები გასწყვიტეს და ტყვეები გამოიხსნეს. ეს გარემოება, როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ სიჩქარით აცნობეს კიკიან ფაშას, მან ცნობისათანავე გზის შეკვრამდის გაგზავნა ფოთში კაცი და დაიბარა ჯარები, მაგრამ ამ ჯარებს დახვდენ ეკალ-მუხურში მიქელაძეები, შექნა დიახ ფიცხელი ომი და სულ



მოდა

ცხვრის ფარასავით გადაყარეს თათრები რიონის წყალში. ფიცის კაცებმა ქუთაისის ციხე შამოკრეს. მეფის სურვილი იყო, რომ თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსა და იმავე დღეს რაც შეიძლება სიჩქარით დაწყებულიყო, მაგრამ პაპუნა წერეთელმა მოუშალა და ურჩია, როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება. ამ რჩევაზე დათანხმდა მეფე და მოულოდნელად მიბრძანდა ბარაკონს ერისთვისას. როსტომი იმ დროს სალალატოთ ემზადებოდა, უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და რასაკვირველია მეფის მიბრძანება სასიამოვნოდ არ დაურჩა. იმ ღამეს სასტუმროში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბოდიში მოითხოვა ავათ ვარო. ვახშამი დიახ საკადრისი მოუმზადა. სხვათა შორის ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე დრო გამოშვებით ზარბაზანს ისროდენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალურის წესით ორმოც-ორმოცი კაცი ხელ ჯოხიანები იდგენ უიარაღოთ და ჭამის გათავების შემდეგ შეიარაღებულნი გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, გავიდა როსტომ მეფის სანახავად განძრახ მოურიდლად და თავხედათ: ახალუხზე ტოლომო წამოსხმული, წითელი ჯამფასის ნიფხვით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრად შეიმჩნია „როგორც გიჭირდეს ისე გილირდესო“, თქვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივ მოკითხვის შემდეგ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი და თხოვა, რომ თავისი რაჭველებით ხრესილზე მოსულიყო და მოხმარებოდა. ერისთავი დიდის მორჩილებით დაეთანხმა, აღუთქვა ოთხი ათასის კაცის გამოწვევა. გაგზავნა ყოველის მხრით მისი შვილები ჯარის გამოსაწვევად: რაჭაში და ოსეთში კუდაროს და თხოვა მეფესაც მასთან დარჩენა, სანამდის ჯარი სულ არ შეგროვდებოდა.

გამოწვეული ჯარები წვრილ-წვრილად იკრიბებოდენ ბარაკონში ერისთვის დიდ ეზოში. მეფე დიდს შექცევაში ყავს, დილაობით ყოველ დღე ყაბახზე სროლა არის, საღამოობით ჯირითი და სადილ-ვახშამზე ზარბაზნის სროლა. მეფე გაკვირვებულია ამ კაცის ცხოვრებაზე, და პაპუნას უბრძანებს: მადლობა ღმერთს, გურიელსა და დადიანს გარდა კიდე მყოლია დიდებული ქვეშევრდომებიო. ამ ყოფაში იყვენ რამდენიმე დღე, რომ მესამე დღეს ორმა კაცმა ცხენი მოაჭენა ხიდისკარიდან, მივიდენ პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს: ნაქერალას მთაზე თათრის ჯარი ამოვიდა და შაორის მდინარეზე დაბინავდაო. როგორც გავიგეთ ხრესილზე მდგომის ჯარის ოცდაათი ათასისაგან ნახევარი აქეთ წამოსულაო. ეს ლაპარაკი მაღალის ხმით იყო. მეფემ მოკრა ყური და უბრძანა ერისთავს რა ამბავი არისო. ერისთავმა მოახსენა: რაჭაში მტერი შამოგვსევიაო და აოხრებას მიპირებსო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მეც მომზადებული ვარ, იმას რაჭაში არ შამოუშვებ, ნაქერალაზე გადმოვყრი და მერე თქვენ მოგეშველებითო. ახლა კი წაბრძანდით დროს ნუღარ კარგავთო. მეფემ მადლი უბრძანა და დაიმედებული გამობრუნდა. თათრების ჯარების შესვლა რაჭაში თურმე გამოგონებული იყო ერისთვისაგან. მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ მანამდი ხრესილზე თათრებისათვის მეფის განზრახვა ეცნობებია. რაჭიდან გამობრუნებულ მეფეს სიმონეთში სარდალი ბერი წულუკიძე დაუხვდა დიდის ჯარით. მეფემ ჯარი დალოცა და გასამხნევებელი სიტყვები უბრძანა: ჩემო იმერლებო! მტრები ჩვენზე ბევრათ მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით. დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭირვება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით შვილებო! გამხნევდით. მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე. ეს რომ თქვა ჯარის დაწყობაც ბრძანა. გამოვიდა კერძოთი ცხენის ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი და დააწყო ცხენოსნის ჯარი. გამოვიდა ბერი წულუკიძე სარდალი ქვეითის ჯარისა და დააწყო ქვეითი ჯარი. შესდგა სულ ქვეითის და ცხენოსნის ჯარი თერთმეტი ათასი. მეფემ გამოთხოვა პაპუნას ნახევარი ცხენოსნის ჯარიდან. უბრძანა: თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე, მაგრამ ხვალ მე უნდა ვიქნეო. იმ ღამეს მტერზე ახლოს მივიდენ. მეფეს არ უძინია, მთელი ღამე დაჩოქვილი ლოცულობდა. ბრძოლის წინად ბრძანა ღვინის მიტანა, აივსო აზარფეშა და თქვა: დიდება ღმერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლად გამზადებულს. დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს. წერეთელმა თაყვანისცემით ჩამოართვა სასასმო. აავსო და დაილოცა: ღმერთო უსმინე და გაუმარჯვე ბატონ მეფე სოლომონსო. წერეთელმა ბერ წულუკიძეს გადაულია და იმანაც ჯარი შეავედრა წმინდა გიორგის. მოემზადენ საომრად, პირველ მამლის ყივილზედ მიადგა ბერი წულუკიძე საიდანაც მარჯვე ადგილი იყო. დაკრეს საომარი ბუკი და ნაფირი. მეფემ მარჯვენით შეუტია და პაპუნამ მარცხნით. შეიქნა დიდი ფიცხელი ომი. გათენებამდე ძლევა არც ერთ მხარეს არ რჩება, რომ გათენდა დაინახეს, რომ მეფე შევარდნილა შიგ შუა გულ ჯარში და ხმალ

ამოღებული ეძებს, უყივის და იწვევს დაელურში ალი ფაშას. ამასობაში ბერმა წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა შემოამტვრიეს საფრები. თათრის ჯარი გაქცევას აპირებს, მაგრამ ლევან აბაშიძე თავის ჯარით ამხნევებს მათ.

მეფემ დაინახა ფაშა, შეჰყივლა თათრულად: აიყარე იარაღი და ან მარჯვედ დამხვდიო! ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეშინდა რომ, როგორც იყო ნახევრამდის ხმალი ძლივს ამოიღო. ომის დროს საოცარი რამ სანახავი იყო ბატონი მეფე. მიიგდო ცხენი და როგორც ქათამს ისე გააგდებინა თავი ფაშას. ალი ფაშას სიკვდილის შემდეგ სარდლობა აბაშიძეს დარჩა და გაგრძელდა ისევ ომი. რომ არავის უბრძანებია ისე ერთი ვიღაც ჯარის კაცი გავიდა დიდ ხეზე და მორთო ძახილი: გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძეო. ამ ტყუილმა ძახილმა ჩვენი ჯარი გამოაფხიზლა. ეს ხმა ლევან აბაშიძესაც მოესმა, მიიგდო ცხენი ხეზე, შენიშნა რომ მყვირალი კაცი ხეზე იყო გასული, შემოუარა ხეს და დაეძებდა საიდან მოეხერხებია სროლა. ამ დროს ერთი ჯარის კაცი თურმე ჩირგვში იყო მიმალული, მიადვა თოფი აბაშიძეს და გადმოაგდო ცხენიდან. გადმოიხედა ხეზე გასულმა კაცმა, დაინახა, რომ აბაშიძის რახტით შემკული ცხენი უპატრონოდ გარბის და პატრონი კი ძირს აგდია მკვდარი. მოუმატა ყვირილს: მოკლეს აბაშიძე და ფაშა ალი ბეგიო. ამ ორის სარდლის სიკვდილმა თათრის ჯარები სრულიად მოშალა. საღამოზამდის კიდევ გაგრძელდა ომი, მაგრამ მხოლოდ სწყვეტდენ და იჭერდენ თათრის ჯარს, რომელსაც ხელის გამოღების ღონე აღარ ქონდა, თორემ ნამდვილი ბრძოლა კი დილიხნიდან გათავებული იყო. მეფეს თუმცა წინათვე მოახსენეს აბაშიძის სიკვდილი, მაგრამ ომის დასრულებამდე არ უნახავს. შემდეგ კი მივიდა, გადააფარებინა ნაბადი და იტირა ისე, როგორც ეკადრებოდა ნათესავს. არც ერთი საყვედური არ უთქვამს. შეაკრევინა კუბო და დიდის პატივით გაგზავნა თავის სახლში. მოითხოვა აბაშიძის მკვლელი, მაგრამ ვერავინ გამოჩნდა შიშის გამო, სანამ დაჯილდოება არ ბრძანა. მაშინ კი მოიყვანეს მესხეთელი გლეხი გეგელა თევდორაძე. როგორ გაბედე შენ ზიძიჩემის მოკვლაო, უბრძანა მეფემ. მე ბიძა თქვენი კი არა ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო, მოახსენა თედორაძემ. მეფეს გაეცინა, აზნაურობა უბოძა, სახელი გვარად შეუცვალა თევდორაძეობა გეგელაშვილად, რომ მისი ნაშიერები გეგელაშვილად იწოდებოდენ. მასთანავე აჩუქა ათი კომლი გლეხი და სახნავ-სათესი ადგილები გეგუთში. გამარჯვებულმა და გახარებულმა მეფემ ამ ღამეს ცუცხვათში მოისვენა და მეორე დღეს ქუთაისს მიბრძანდა.

(შემდეგი იქნება)

---

## გაკვრით პასუხი

დასასრული *)

ჩვენ მოწინააღმდეგებმა, შეიძლება, გვისაყვედურონ, რომ ვითომც ჩვენ მარტო ცალმხრივათ ვუყურებდეთ ცხოვრებას, რომ მასში კიდევ სხვა ფაქტორები მოქმედებენ, გარდა კაპიტალიზმისა და ჩვენ კი იმათ ყურადღებას არ ვაძლევთ. ჩვენ ამის შესახებ ზ ვითაც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ მართალია, კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთათ არსებობს ჩვენში აქა-იქ ნატურალისტური წარმოებაც, მაგრამ, როგორც ვამბობდით, ეს უკანასკნელი უკვე თავისი თავის დასამარხავათ მომზადებულა, საქმე ნატურალისტურ წარმოების არსებობაში კი არ მდგომარეობს—ჩვენს დროში აქა-იქ არხაიული კომუნიზმის ნაშთსაც ვპოულობთ,—არამედ იმაში, თუ რა შეადგენს სულს და გულს ახალი დროისას, ნამდვილ მის მიდრეკილებას. ამიტომ ჩვენ უნდა სამუდამოთ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი დროის უმთავრეს მიდრეკილებას, მისს სულს და გულს შეადგენს კაპიტალისტური წარმოება ისე, როგორც მის წინ მისი ადგილი ეჭირა ნატურალისტურ წარმოებას. აი, სწორეთ ამ კაპიტალისტურ წარმოების ჭახრაკში გვაქვს ჩვენ გაყოფილი თავი რამოდენიმე ხანია. ამასთანავე ჩვენ ვიცით, თუ რა უმეცრების ნახტომს წარმოადგენს იმის წადილი, რომ კაპიტალისტური წარმოება შეჩერდეს პირველ საფეხურზედვე, თავის ზრდის დამთავრებამდის. რაც შეეხება იმას, რომ კაპიტალისტური წარმოება თავის ხელითვე იმზადებს თავის დასაკლავ დანას, ეს ჭეშმარიტება დღეს ყველასაგან მიღებულია, ვინც კი მეცნიერულათ იკვლევს ამ საგანს. მიღებულია აგრეთვე ის ჭეშმარიტებაც, რომ ის უმაღლესი წეს-წყობილება, რომელიც დამყარდება კაპიტალისტური წეს-წყობილების მოსპობას შემდეგ, დაფუძნებული იქნება ყველა იმ კულტურულ შენაძენებზე, რომელნიც კაპიტალისტურმა წარმოებამ შეძინა კაცობრიობას. ამისათვის ჩვენც კაპიტალიზმის იმედი გვაქვს. კაპიტალისტური წარმოება ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ნამდვილ შკოლათ, რომელიც სწავლის და ვარჯიშობის დროზე ბევრს მსხვერპლს მოითხოვს,

*) იხ. „კვალი“ № 22

გარყვნის და კიდევაც გაათახსირებს რამოდენათმე საზოგადოებას, მაგრამ კულტურულ მომზადებას, სწავლა-განათლებას, მეცნიერებას და უმაღლეს ტეხნიკას, —შემდეგი ისტორიული ეპოქისათვის, — მარტო ის შეგვძენს.

ამ ნაირია ჩვენი რწმენა. მაგრამ ის კი არავინ იფიქროს, ვითომც ჩვენ არ ვგრძნობდეთ და არ ვაფასებდეთ იმ მსხვერპლს, რომელსაც თხოულობს კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში, ან კი რომელი ფორმა წარმოებისა არ თხოულობს მას. ჩვენი განსხვავება ჩვენ მოწინაალმდეგეთაგან სხვათა შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ რასაც ისინი ხელს აფარებენ და თითქმის პირდაპირ უარსაც ჰყოფენ, ჩვენ გვსურს ყველა ამას ფარდა ავხადოთ, საზოგადოებას დავანახოთ, და ამასთანავე ვუჩვენოთ მას კაპიტალიზმის ცუდი შედეგებისა ან თავ-დასახწევი საშუალებანი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნაკადულის შეგუბებით დაკავება ყოვლად შეუძლებელია; თუ გვსურს ნაკადულმა არაფერი ზიანი მოგვცეს, ის უნდა ჩავაყენოთ კალაპოტში. კაპიტალიზმის განვითარების საქმეც ამ ნაირათ არის. რაც შეაფერხებს ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებას, მის ნორმალურ ზრდას, ყოველივე ის უფრო-და-უფრო გაამწვავებს მის მავნე შედეგებს და დააგვიანებს მის ზრდა-განვითარების დამთავრების ხანას. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ პუბლიცისტთა მიერ უარყოფა კაპიტალიზმის არსებობისა ჩვენში, კაპიტალისტური წარმოების განვითარებას სრულებითაც არ შეაფერხებს, მხოლოთ ეს ხელს უშლის კაპიტალიზმის მავნე შედეგების ცოტათ, თუ ბევრათ, შემცირებას. გერმანია, სადაც სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე შეიგნო საზოგადოებამ ეს გარემოება, მიბაძვის ღირს მაგალითს უჩვენებს დანარჩენ ქვეყნებს.

როგორც ზევით შევნიშნეთ, ჩვენი აწინდელი ცხოვრება დიდ საყურადღებო მასალას, — თუმცა ჯერ გამოურკვეველს, — იძლევა ჩვენში კაპიტალისტური წარმოების არსებობის შესახებ. რამოდენიმე ნაწილი ამ მასალისა მოთავსებულია ნ. ჟორდანიას დიდათ საყურადღებო წერილში „ეკონომიური განვითარება და ეროვნება“; ამავე სულით არის გამსჭვალული ჩვენი საზოგადოებისათვის უდროვოთ დაკარგულის მწერლის, ეგ. ინგოროყვას, მოთხრობები. ჩვენ გვსურს, სხვა ადგილს, ყველა ეს მასალა შევკრიბოთ და სისტემაში მოვიყვანოთ. აქ, სანამ ამ წერილს გავათავებდეთ, საკმარისი იქნება მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითები, რომლებიც დაგვანახვებენ, ერთი მხრით, ნატურალისტური წარმოების გაქარწყლებას, და, მეორე მხრით, კაპიტალიზმის არსებობას.

გასულ 1894 წლის გაზ. „ივერიის“ მე-98-ში ცნობილი „ივერიის“ მოთავე წერს შემდეგს: „მაშინ (ოცი ორმოც წლის წინათ) არამც თუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც, ოც-და-ათი წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისთვის არა ყოფილიყოს გამართული თითქმის თვითოეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირათ არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავათ და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი.—ალებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობა გაუქმდა. ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინათ მიწის მოსავლით იხდიდა ხალხი და ახლა ფულათ სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის შოვნა მეტათ გაძლიერებულ საჭიროებათ შეიქმნა ჯერ ხსენებულ ნაწარმოებთა სასყიდლათ და მერე სახელმწიფო ხარჯის სახდელათ“. ასე მჭერმეტყველურათ გვიხატავს ნატურალისტური წარმოების გაუქმებას ჩვენში „ივერიის“ მეთაური, მეტათ ცნობილი ავტორი, თუმც სხვა ადგილს, ის ეწინააღმდეგება ამას, მაგრამ ეს ხომ საზოგადო სენია თითქმის ყველა ქართველ მწერალთა, და თვით ბ. ვ. წ. კი გვეუბნება, თუ მას რამე დაეჯერება ამდენი ჩვენი მოლორების შემდეგ, რომ „უფულოთ, უკაპიტალიზმოთ ახლა ცხოვრება შეუძლებელიაო“.

ნატურალისტური წარმოების მდგომარეობის დასაფასებლათ, საჭიროა აგრეთვე, რომ მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები ბ. აბრამისძისა (იხ. ამ წლის „მოამბე“ № 2, სტ. „პროვინც. ცხოვრება. კახეთი, გვ. 91): ხშირათ ყანთარზე ერთი ლიტრა ფქვილიც არ მოიძებნებოდა, ახლა კი სურათი გამოიცვალა. საჭიროებამ გამოიწვია ახალი დარგი ვაჭრობისა და ეს დარგი გახლავთ სულადის ყიდვა... ასე რომ დღეს თელავში არა ნაკლებ ოცი-ათასი ფუთისა ფქვილი არის. ახლა იკითხეთ, სადაურია ეს ფქვილეულობა? როსტოვისა გინდათ, კავკავისა, ერევნისა, საგარეჯოსი, თუ ქიზიყისა, სულ აქ არის. წარმოიდგინეთ, რომ სიმინდიც კი მოდის კავკავიდან. ახლა ერთი ბ. ვ. წ. და მის ამხანაგებს კითხეთ, მკითხველო, მოასწავებს თუ არა ეს ყოველივე „ნატურალისტურის წარმოების ჯერ კიდევ მარჯვეთ ხელის ჩაკიდებას“? როგორც კახეთი, იმავე ყოფაში არიან საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც. ერთათ-ერთ საქართველოს კუთხეზე არ ითქმოდა ეს ამ უკანასკნელ დრომდის. მე ვამბობ ლეჩხუმის მხარეზე და სვანეთზე.

მაგრამ, ეგონებ, არც ერთ საქართველოს სხვა კუთხეში კაპიტალიზმი არ შესულა ისე სწრაფათ, როგორც ამ ნამდვილ ნატურალისტური წარმოების სამფლობელოში, ლეჩხუმში და სვანეთში. ჩვენ ვლაპარაკობთ სერებრიაკოვის ხე-ტყის ექსპლოატაციაზე, ამ ვეებერთელა წარმოებაზე, რომელშიაც დაქსაქსულია მილიონამდე კაპიტალი. ეს ხე-ტყის ექსპლოატაციის საქმე ჯერ სულ ახალი საქმეა, სამი თუ ოთხი წლისა, მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგებს ყველაზე უფრო ვურჩევთ ნახონ და გაშინჯონ ეს საქმე და მაშინ დაინახვენ, თუ რა ნაირის სისწრაფით სრულდება ამ პატრიარქალურ ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოში დარღვევა და დაქცევა ძველი წესისა და ახალი წარმოების, ახალის წესწყობილების საფუძველის ჩაყრა. ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინათ თვითონ ვიყავით მოწამე ამ ღირს-შესანიშნავ მოძრაობისა. ეჭვი არ არის, რომ ამ ერთ და იმავე დროს დამარღვეველ და ამშენებელ პროცესს თან მიყვება გათახსირება და გარყვნა საზოგადოების მრავალ წევრთა; მაგრამ ეს არის მხოლოთ გარეგანი მხარე ამ შესანიშნავი მოძრაობისა. ჩლუნგი და შორ გაუჭვრეტელი გონება მარტო ამ მხარეს შენიშნავს; და მის შინაგან მხარეს, მის კულტურულ მნიშვნელობას, მარტო ფართო გონების პატრონი, შორს გამჭვრეტელი თვალი, დაათვალიერებს და აღნიშნავს.

ჩვენ აქ არ ვთვლით საჭიროთ კიდევ განვაგრძოთ სხვა-და-სხვა მაგალითების დასახელება წარმოების და მრეწველობის განვითარებაზე ჩვენში; არაფერს ვიტყვით თვით ჭიათურის შავის ქვის მადნის წარმოებაზე, რის შესახებ მინისტრ ერმოლოვმა წარმოსთქვა შემდეგი საყურადღებო სიტყვები: „წარმოების ისტორიაშიო—თქვა იმან—არ არის მეორე მაგალითი ამ ნაირის წარმოების ისე სწრაფათ გაძლიერებისა, როგორც ვხედავ აქ შავის-ქვის მადნებში“, (იხ. „ივერია“ 1894 წ.: № 207). ამ ნაირი შინაარსისაა ის აუარებელი ფაქტები, რომლების სულ მცირედი ნაწილი მოვიყვანეთ ჩვენ აქ. რას მოასწავებენ ისინი? მას რომ ჩვენ თვალს არ უნდა ვიბრმავებდეთ თავისი ნებით ცხოვრების წინაშე და მას სინათლის თვალით ვუკვირდებოდეთ. მაშ, ს. ჯიბლაძესთან ერთათ ვუსურვოთ „გამარჯვება ახალ დასს! მისია მომავალი. გაუმარჯოს ყველას, ვინც ებრძვის და თელავს სიბნელეს და მიისწრაფვება სინათლისაკენ“!

ფ. მახარაძე

# კრიტიკის კრიტიკა

(ფაქტორები ისტორიული პროცესისა ფხასი. „კვალი“ №№ 49—52 1894 წ.)

დასასრული *)

ამდენ წინააღმდეგობათა წინააღმდეგობებით აღჭურვილი ბ-ნი ფხა ჩვენს წერილებსაც არჩევს და თავისებური კრიტიკით გააქვს და გამოაქვს. („ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ „მოამბე“ № 5—6). ჩვენი წერილების დასაცველათ დიდ შრომას არ გავწევთ, მეტადრე ბ-ნ ფხას საპასუხოთ. ბ-ნმა ფხამ თავის კრიტიკა დაიწყო სხვისი აზრის გადამახინჯებით და ათავებს ასეთივე გადამახინჯებით. იმისთანა აზრს გვწამებს, რაც არას დროს არ გამოგვითქვამს. ის ამბობს: ქორდანია „ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ადამიანთ შეკრებილება მხოლოთ მაშინ გახდება ერი, ნაცია როცა მასში შრომის განაწილება და ალებ-მიცემობა-ვაჭრობამ მოიკიდა ფეხი და გამტკიცდა. სხვა ძალას რა თვისებისა და ხასიათისაც უნდა იყოს იგი ან ფრიად მცირე, ან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ერის გაჩენისა და გამორკვევის საქმეში“. საიდან ამოკრიფა ეს ავტორმა? განა ჩვენს წერილებში ერთი კრინტიც დაგვიძრავს ერის გაჩენის შესახებ? ერის გაჩენის კითხვა რასის (გვარტომობის) კითხვაა, რაიცა იკვლევა ანტროპოლოგიის და ლინგვისტიკის მიერ. აქ სოციოლოგია და ისტორია ვერ მიწვდება, ვინაიდგან ერი ე. ი. ადამიანთა კრებული ერთი გვარ-ტომობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, გამოირკვა ისტორიის წინა დროს. მაშ მე რანაირათ ვიტყოდი ამ ისტორიის წინა დროის მოვლენის მიზეზი ვაჭრობაა-მეთქი? ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ერის შეგნებულათ გაერთიანებაზე და არა ერის გაჩენაზე. ჩვენ ვიკვლევთ ამ გაერთიანების ფაქტორებს. ჩვენ ვამბობდით. „ომის და ბუნების წყალობით ერნი გაერთიანებულან, მაგრამ ეს ერთობა სუსტი და ხან-მოკლე შეიქმნა. არასოდეს ეროვნული გაერთიანება არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც მოხდა ალებ-მიცემობის წყალობით თანამედროვე ევროპაში. აი, ჩვენი ტეზისი (იხ. „მოამბე“ № 5 102—106 გვ.) საიდან გამოახტუნა ბ-ნმა ფხამ თავისი ჭორი? ბ-ნი ფხა გვარწმუნებს, ვითომ ჩვენ ერის გამოცნობის ნიშნათ ვაჭრობა მიგვეღოს: „შრომის განაწილება და აღორძინება ალებ-მიცემობისა რომ სარჩულათ და საფუძვლათ დაუდვათ ჩვენს გამოკვლევას, რათა გავიგოთ, რომელი ხალ-

*) იხ. „კვალი“ № 22.

ხია, რომ ერს, ნაციას წარმოადგენს და რომელი არა იმ შემთხვევაში სადამდე მივალთ?“ განა ამას ვამტკიცებთ? ამის შესახებ ჩვენ წერილებში ნათლათ არის გამოთქმული და მიკვირს, რატომ ავტორს ჭორი დაჭირვებია. მე ვამბობდი: „ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნებისა, ამით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი ხალხი რომელ ერს ეკუთვნის“. ნუ თუ ეს ბნელია, ბ. ფხა? მოვიყვანთ კიდევ ერთს მაგალითს. ბ. ფხა წერს: „რაც შეეხება საფრანგეთის ერის გაერთიანებას ზნითა, ჩვეულებით, მოქმედებით და სხ.—ეს ისე მართალი არ არის როგორც ბ. ჟორდანია ფიქრობს“. *) ან კი როდის ვიფიქრეთ ასე? ჩვენ ვწერდით: „საფრანგეთი გაერთიანებული ნივთიერათ გაერთიანებულია იდეებითაც, ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გაალონიეროს ერი“ და სხ. ბ. ფხამ კი ჩვეულებრივათ გადაამახინჯა. შეიძლება კიდევ გსურთ ასეთი მაგალითები? მაშინ საჭირო იქნება მთელი მისი წერილის ამოწერა. აი, კიდევ ერთი. ჩვენ ვხმარობთ „შრომის განაწილება“, მას კი ეს ასე შეუცვლია „შრომის დეტალური (რთული) განაწილება“, მაშინ როდესაც ამათ შორის დიდი გარჩევაა. უკანასკნელი წარმოებს მხოლოთ ქარხნებში, პირველი კი ყველგან, ერის ნაწილთა შორისაც. ერთი სიტყვით ბ. ფხას წერილი ასეთი გადამახინჯებით სულ-დგმულობს, მეტი საფუძველი არა აქვს-რა, ამას მიუმატეთ სრულიათ ყალბი ცნობები საბერძნეთის და საქართველოს ისტორიის შესახებ, უცოდინარობა საფრანგეთის პოლიტიკური დასების და სხ. და სხ. და თქვენ მიიღებთ ბ. ფხას საკადრის კრიტიკას. აბა, რაღა საპასუხოა ასეთი ავტორი? რაც ვთქვით ისიც ბევრია, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე. ბ. ფხასთვის პასუხის გაცემა არც კი გვინდოდა, და თუ გავეცით ეს იმიტომ, რომ იგი შეეხო და ერთიანათ დაამახინჯა თანამედროვე ისტორიული მატერიალიზმი. ეს თეორია მეცნიერებაში უკვე დამკვიდრდა. ხოლო ამ ჟამათ რუსეთის „სუბიექტივისტებმა“ გამოილაშქრეს მის წინააღმდეგ და ამით მხარს უჭერენ კმაყოფილთ ამა სოფლისა. ჩვენს მწერლობაში პირველად ბ. ფხა შეეხო და საზოგადოებას სრულიათ შეცვლილათ უჩვენა. ჩვენ გვწამს, რომ კრიტიკოს შესწავლილი უნდა ჰქონდეს საკრიტიკო საგანი. ასეთ მოწინააღმდეგესთან კამათი ყველასთვის სასარგებლო და სასიამოვნოა. თუ ვინმე ასეთი კრიტიკოსი შეეხება მარქსის მიერ დამყარებულ ისტორიულ თეორიას, ჩვენ მზათ ვართ პასუხი გავცეთ. ხოლო ბ. ფხა კი გააფთხილეთ: მწერალს, გარდა წერის სურვილისა, სხვაც რამე უნდათქო.

ნ. ჟორდანია

*) ბ. ფხას მიერ გენეკენის წიგნიდან მოყვანილი ცნობა, ვითომ მარსელის და ლილელს შორის ეროვნული განსხვავება იყოს, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

# სვიმონ ხელი

(ისტორიული მოთხრობა)

## XII

შემდეგი *)

1592 წელს გაზაფხულის პირზე დაიწყო დენა ლაშქარმა თბილისისაკენ. მეფე იმერეთის დასაპყრობლათ ემზადებოდა. ჯარს მოდევდა უკან საგძალი, იარაღი. დიდ მარხვის მიწურულებში გაემგზავრა მეფე. ქართლი სწრაფათ გაიარა ლაშქარმა, გადავიდა იმერეთს. აიღო ციხეები: სვირი, კაცხი, სკანდა; მიადგა ქუთაისს. როსტომ მეფე გაიქცა დადიანთან. ასე წრაფათ იმისთვის დაიპყრო მეფემ იმერეთი, რომ თითქმის მთელი იმერლობა იმისკენ იყო. იმერეთი რომ დაიჭირა ხელმწიფემ, ოდიშისკენ გასწია.

— უთუოთ უნდა დავიპყრა ოდიში, თორემ დავბრუნდები თუ არა, წინანდელი ამბავი მომიხდება იმერეთში. თუ ღმერთმა ქნა და გამიმარჯვდა, ოდიშიდან გურიაზე გადავივლი და იქიდან სამცხე-საათაბაგოზე დავბრუნდები, თუ მანამდის შემოვიდა თათარი, ჩემი და იმერეთის ლაშქრით შევებრძოლები იმას, —ოცნებობდა მეფე.

*) ის. „კვალი“ № 21.

ქართველების ლაშქარი მივიდა ოფიშკუთს და იქ დაბინავდა, მაგრამ აქ სვიმონის ლაშქარი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ძალიან წვიმიანი გაზაფხული იყო, მთელი ოდიში ერთ გაუვალ ჭაობათ გადაიქცა. ხალხი იწუწებოდა წვიმაში, სველ მიწაზე ეყარა. გარდა ამისა ლომმა და სიმინდმა უგრილეს ჯარს, ავათმყოფობა გახშირდა. ლაფმა და უგზოობამ ხომ მთლათ გააჭირვეს საქმე. მთელი ოდიში ტყით იყო დაფარული და საცალფეხო გზები, რომლებიც ტყეში იყო გაფანტული, აბა, რა გამოსადეგი იქნებოდა ამოდენა ლაშქრისათვის?

ამ გაჭირვებაში იყო მეფე, როცა მოვიდენ დადიანისაგან მოციქულები. ხემწიფემ პატივით მიიღო დესპანები და ლაშქრის მოთავეები შეკრიბა დადიანის წინადადების მოსასმენათ. მამია წერდა:

„...... ვიცი თქვენი მხნეობა, ვიცი თქვენი ლაშქრის სიდიდე და სიძლიერე, ამისთვის გმორჩილდებით, როგორც ემორჩილებოდა იმერეთი და ოდიში დიდებულ თამარ მეფეს; მხოლოთ მიეცი იმერეთი როსტომს და გადიყვანე შენი ლაშქარი ქართლშივე. ისე დაიმკვიდრე მთელი საქართველო, როგორც ეპყრათ ის შენ დიდებულ წინაპარებს......“

ეს წერილი არ იამა არც მეფეს, არც იმის ამალას.

— მე ქართველი კაცი ვარ, გატეხილის თქმა მიყვარს: თუ იმერეთში ისევ როსტომი იქნება, ჩვენ კი შინ დავბრუნდებით, მაშ რიღასთვის წამოვსულვართ აქ?!—თქვა საჩინომ.

— ეგ იმას ნიშნავს, უომრათ დავუთმოთ ის, რაც ომით დაგვიჭერია; ეტყობა დადიანი ძალიან არის დარწმუნებული, რომ გამარჯვება იმას დარჩება,— თქვა არჩილმა.

მეფე დაფიქრებული იჯდა, მარჯვენა ულვაშს ათამაშებდა. ბოლოს გადაწყვეტილი უთხრა:

— მოკითხვისათვის მადლობა მოახსენეთ დადიანს. უთხარით: იმერეთს ვერ დაუთმობ როსტომს, ოდიშში არ შემოვალ, თუ როსტომს მომცემს ხელში, როსტომს უვნებლათ დავტოვებ.

ეს პასუხი მიიღეს მოციქულებმა და წავიდენ. მეფე შავ ფიქრებს მიეცა.

— ლაშქარი ავათ გახდა, ავათმყოფობა ძლიერდება, აქ დგომა არ მოხერხდება. წინ წასვლაც ამ ჭაობებში შეუძლებელია. უნდა დავბრუნდე, მაგრამ თუ როსტომი არ ჩავიგდე ხელში, რა გამოვა?—ფიქრობდა ის.

დადიანმა კარგათ იცოდა მეფის ლაშქრის მდგომარეობა. ისიც იცოდა, რომ სვიმონ მეფე არ დათანხმდებოდა პირობებზე, ამისთვის მოუვიდა თუ არა აფხაზეთიდან მეშველი ჯარი, რომლის ლოდინშიაც იყო ის აქამდის, აღარ მოუცადა დესპანებს, შეკრიბა ლაშქრის მოთავეები და იმათთან ერთათ დაასკვნა თავს დასხმოდა სვიმონს.

— ქართველები, მართალია, ბევრნი არიან, მაგრამ ლაშქარი ავდრისა და ავათმყოფობისაგან მისუსტებულია, არც ბრძოლას მოელიან ჯერ, რადგან სვიმონ მეფე ჯერ ისევ ჩვენ დესპანებს ელაპარაკება. ოფიშკუთში იმათ პატარა ველი უჭირავთ, გარშემო კი ტყეა და ჭაობი; იქ იმის დიდ ლაშქარს გაშლა არ შეუძლია, ვერც მარჯვეთ იმოქმედებს, რადგან ქართველები ტალახს შეჩვეულები არ არიან. გიბძანებთ, ახლავე აშალოთ თქვენი რაზმები, სხვა-და-სხვა ბილიკებით გაუდგეთ გზას. ხვალზეით, განთიადისას, ყველანი სვიმონის ლაშქრის ახლო უნდა იდგეთ ტყეებში, ჩემ ბძანებას ელოდეთ. რაც შეიძლება საიდუმლოთ უნდა მოხდეს ყველა ეს, – ბძანა მამიამ.

დადიანს მოუწონეს მოფიქრება. მალე მოიწმინდა მეგრელების ლაშქარი ბანძიდან, სადაც იყო ის დაბანაკებული და გაუდგა გზას. არც თითონ დადიანმა დაიგვიანა, ჯერ რიჟრაჟი არ იყო, როცა ის აწყობდა ტყეში, სვიმონის ლაშქრის გარშემო, თავის ჯარს და ბძანებას აძლევდა, როგორ უნდა მოქცეულიყვენ.

ქართველების ჯარს ამ დროს ჯერ ისევ ეძინა; მხოლოთ ყარაულები იდგენ ფეხზე; ისინიც წვიმას მთლათ გაეძღენთა, საცოდავათ მობუზულიყვენ. უეცრათ გაისმა საყვირების ხმა და მეგრელები თავს დაესხენ ლაშქარს სხვა-და-სხვა მხრიდან. შეშინებული ლაშქარი წამოიშალა, აირია. მიხვდა სვიმონ მეფე საქმის ვითარებას და პირათ თითონ შეუდგა ჯარის დაწყობას. არც ამირ სპასალარმა დაკარგა გონება. სულ მცირე ხანში უმთავრესი ჯარი მთლათ იყო საომრათ გაწყობილი. მაგრამ არ იქნა, ომი არსად შენივთდა: მეგრელები გუნდ-გუნდათ ეცემოდენ ჯარს ყიჟინით და ისევ მარდათ უკუიქცეოდენ ტყისაკენ. ამ გვარ ბრძოლაში სვიმონმა ველარც ზარბაზნები მოიხმარა რიგზე, ლაშქარიც დაღალა, ომის ხალისი დაკარგა. შეატყეს ეს მეგრელებმა, უფრო მედგრათ დაუწყეს თავდასხმა, დიდ ზიანს აძლევდენ.

მეფე ჯერ თითონ ახელმძღვანელებდა ჯარს, მიმართულებას აძლევდა ომს, ბოლოს გამოვიდა ომიდან, გადახედა გამოცდილი თვალით ბრძოლის ველს და დაფიქრდა. დიდ ხანს დაჰყურებდა მებრძოლებს, თან ულვაშს ხელს არ აშორებდა, მერე გაიშალა წელში და ბძანა:

— მომგვარეთ შურდანი!

შეჯდა სვიმონი შურდანზე და უბძანა დაეძახნათ საამ თურქისტანიშვილისათვის, რომლის რაზმი მეფის ახლოს იბრძოდა. თურქისტანიშვილმა მეფე რომ შურდანზე შემჯდარი ნახა, ძლიერ ეწყინა და შეჰბედა.

— რა არის მიზეზი, რომ წასასვლელათ მომზადებულხართ? ღმერთმა ნუ მიჩვენოს გაქცეული ჩვენი მრავალჯერ გამარჯვებული მეფე. მე კი აქედან სისხლ დაუღვრელი არ წავალ ჩემი ცოცხალი თავით.

ასე იმისთვის მოახსენა თურქისტანიშვილმა, რომ შენიშნული ჰქონდა მეფის ჩვეულობა. მეფეს ორი საგანგებო ცხენი ჰყავნდა ფალავანი და შურდანი, როცა გამარჯვების იმედი ჰქონდა ფალავანზე მჯდომი ომობდა, როცა დაატყობდა მარცხი მომდისო, შურდანზე შეჯდებოდა და გაეცლებოდა განსაცდელს.

სვიმონმა სიყვარულით შეხედა საამს და უთხრა:

— ჯერ ახალგაზდა ხარ, გამოუცდელი, თუმცა მხნეობით ბევრს გამოცდილსა ჯობიხარ. დაიხსომე რასაც გიბძანებ: უთხარი ჩემ მაგივრათ ამირ სპასალარს, რომ რაც შეიძლება მალე, აუბნევლათ კი, გამოიყვანოს ჯარი ბრძოლიდან და წამოვიდეს. მძიმე ბარგი დაყარეთ.

საამს გული ყელში მოებჯინა, ხმა ველარ ამოიღო. სვიმონმა გამოაბრუნა შურდანი და მისცა სადავე.

თურქისტანიშვილი შეერია შუბ მომარჯვებული ბრძოლაში. ისიც, ჯარის სხვა უფროსებიც კიდევ ეცადენ ბედი წალმა დაებრუნებინათ, კიდევ რამდენჯერმე შეებრძოლენ ისინი მტერს, მაგრამ დარ-

წმუნდენ, რომ სვიმონი არ მოატყუა თვალმა და უკან დაწიეს ლაშქარი. ზარბაზნებიც, სხვა მძიმე ბარგიც გამარჯვებულებს დარჩათ.

დადიანი ომის დაწყებიდანვე ეძებდა სვიმონს, მაგრამ რას იცნობდა, როდესაც ის უბრალო მეომარივით იბრძოდა ჯარში და არც მოკაზმულობით ირჩეოდა სხვებისაგან. სვიმონის ძებნაში მამიამ შენიშნა, რომ ერთ ადგილას ძალიან თვალს ადევნებდენ ქართველები, მტერს ახლო არ უშვებდენ; იფიქრა, სწორეთ აქ იქნება მეფეო და დაეცა იმ ადგილას რჩეული რაზმით, რომელიც თან ახლდა იმას საკუთრათ. ქართველები ძალიან მაგრა დაუხვდენ აქ, მაგრამ დადიანმა მაინც გააპო ჯარი და ზედ წააწყდა მღვდელს, რომელსაც ხატი ეჭირა ხელში. ეს იყო დეკანოზი გარსევანაშვილი, ოქონის ხატის მატარებელი, ჯარის დასალოცათ. დეკანოზი მოკლეს, ხატი გაიტაცეს.

— იმე! სვიმონ მეფე მეგონა და ხუცესი ვინმე არ ყოფილა! . იწყინა დადიანმა და გატრიალდა.

რას მოიფიქრებდა, რომ სვიმონ მეფე ახლა მარტოთ-მარტო მიდიოდა.

მიდიოდა მეფე მარტოთ-მარტო, გულზე ბოღმა აწვებოდა. ის ახლა ვერც კი იშნოვდა თანამგზავრს, თუნდაც ჰყოლიყო: კაცის დანახვა ეჯავრებოდა, მარტო უნდოდა ჩაეკლა დარდები გულში. კორბეულის მინდორზე რომ მოდიოდა, დაინახა, რომ დედაკაცი ახოსა თოხნიდა. მივიდა, წყალი თხოვა. დედაკაცი დააკვირდა, იცნო მეფე.

— გახსოვს, ბატონო მეფევ, საომრათ რომ მიბძანდებოდით, ჩემი შვილი კი არ იახლეთ თან: კაცისაგან მთვრალი ვარო?

სვიმონს სიზმარივით მოაგონდა, რომ ეს დედაკაცი ეხვეწებოდა ჩემი შვილიც წაიყვანე ჯარშიო, მაგრამ პასუხი არ გაცა: ახლა სხვაგანა ჰქონდა იმას გონება. დედაკაცს ეს ძლიერ ეწყინა და გაბრაზებულმა მიაძახა მეფეს:

— კაცისაგან რომ მთვრალი იყავი, ვგონებ ახლა კი გამოფხიზლებულხარ!

გადმოდგა მგზავრი ლიხის მთას. თვალ წინ გადაეშალა თავის შვენიერი სამფლობელო მწვანე ვაკებით, ტყით შემოსილი გორებით, თოვლიანი მთისწვეროებით შეჭკული. შეაყენა ცხენი. დიდ ხანს იდგა. ტკბებოდა სამშობლო ქვეყნის სურათით; ძლიერი, შეუსაღვრელი სიყვარული იგრძნო იმისმა გულმა ამ ქვეყნისადმი.

— ღირსი ხარ, ჩემო ბედდადო ქვეყანავ, მსხვერპლისა!.. შეიწირე შენთვის დათხეული დიადი სისხლი! წამოთქვა ალტაცებით.

მეოთხე დღეს სვიმონი კავთისხევს მივიდა. ღამდებოდა. მგზავრიც და იმისი ცხენიც ძალიან დაღალულები იყვენ, მეტი სიარული აღარ შეიძლებოდა. სვიმონმა ცხენი მიაბრუნა გლეხის ქვრივიძის სახლისაკენ, რომელიც სოფლის განაპირას იდგა. ეზოში რომ შევიდა, წინ დედაკაცი შემოხვდა. დიასახლისს კაბის კალთა სარტყელში გაემაგრებინა, რძით სავსე საწველი მიჰქონდა შინ. დედაკაცს კალთაზე ჩითის უბიანი პერანგა ბავში ეჭიდებოდა.

— საღამო მშვიდობისა! სტუმარს არ მიიღებთ? — ჰკითხა მგზავრმა.

— რატომ, ბატონო, სტუმარი ღვთისაა, მობძანდით! — უპასუხა დედაკაცმა.

სვიმონი რომ ცხენიდან ჩამოხდა, დედაკაცი მივიდა, უნდოდა ცხენი ჩამოერთმია. მეფეს უნებლიეთ გაეღიმა, როცა ნახა, რომ შურდანს, თუმცა დაღლილს, დედაკაცი უპირებს წაყვანას.

— არა, დაო, ცოტა ავი ცხენია, მე თითონ მოუვლი, უთხრა სვიმონმა და ცხენი ხეზე გამოაბა ეზოში.

დიასახლისმა მხოლოთ ახლა შენიშნა, რა რაშზე იჯდა იმისი სტუმარი.

ცხენს რომ მოუარა, თითონ დერეფანში ჩამოჯდა ტახტზე. სახლის პატრონი ვახშმის მზადებას შეუდგა; თან ცალი თვალით სტუმარს ათვალიერებდა. ამ თავით ფეხებამდის იარაღში ჩამჯდარმა კაცმა რაღაც იჭვი დაჰბადა დედაკაცის გულში, მეტადრე მაშინ, როცა სტუმარმა უთხრა, იმერეთიდან მოვდივარო. ქალს ქმარი იმერეთს ჰყავდა ჯარში.

მხედარმა მუზარადი მოიხადა, ჯაჭვი გაიხსნა, მხარ-თეძოზე მიწვა. ძალიან მოქანცულიყო, მიეძინა. ძილში ჯაჭვის კალთა გადეხადა და ქვეშ შვენიერი სამეფო სარტყელი გამოჩნდა, ოქროსი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი. დედაკაცს თვალი დარჩა ამ ძვირფას ნივთზე, მიხვდა, რომ თუ თვითონ მეფე არა, ვინმე წარჩინებული კაცი მაინც უნდა ყოფილიყო იმისი სტუმარი. ვახშამი რომ მიართვა სტუმარს, ჰკითხა.

— თქვენ ბძანეთ, რომ იმერეთიდან მობძანდებით; ხომ არ გაგიგონიათ ბატონი მეფე როგორ ბძანდება, ან როგორ მშვიდობით გადიხადა ომი?

— არა, მე მეფისა არა ვიცი რა, მიუგო სვიმონმა.

— ჩემი ქმარი იქ არის ომში, მაგრამ ოღონდ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედოს ჩვენ ხემწიფეს, ოღონდ ის ბრძოლიდან უვნებელათ გამოვიდეს და სხვები ყველანი იმის ჭირის სანაცვლოები იყონ, — მიუგო დედაკაცმა.

ჯერ ალიონი არ დაძრულიყო, როდესაც მგზავრი გამოეთხოვა თავის მასპინძელს. უცნობი სტუმრის ვინაობა ქალმა მაშინ გაიგო, როდესაც სვიმონმა იმის ქმარს აზნაურობა უწყალობა და მეფურათ დაასაჩუქრა.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. цен. Тифисъ, 27-го Мая 1895 г. (§) Тип. М. Д, Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცის) Гол. пр., д 41